



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 03

2017წ. "25" 01

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტისათვის
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის“ 21-ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ახალ საქართველოს უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 215149248) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

№	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მაგისტრატურა	ქრისტიანული ფსიქოლოგია	ქრისტიანული ფსიქოლოგიის მაგისტრი	120

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის №1 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე



მდივანი
თუთა ნარმანია

